მომსახურების ხელშეკრულება #TSC___

სფიქაფის საზაფხულო, ინგლისურენოვან ბანაკში მონაწილეობის შესახებ

1. მხარეების იდენტიფიკაცია

1.1. **მომსახურების გამწევი (ორგანიზატორი)** — სფიქაფი უცხო ენის ცენტრი, ინდივიდუალური მეწარმე **ლაშა ახვლედიანი (პ.ნ: —--).**

1.2. **მომსახურების მიმღები** — მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი.
სახელი _ გვარი, (პირადი ნომერი)

1.3. **ბანაკის მონაწილე** — არასრულწლოვანი ბავშვი, რომელიც მონაწილეობს ბანაკში მშობლისა და მომსახურების გამწევის შეთანხმების საფუძველზე. **სახელი, გვარი, (პირადი ნომერი)**

1.4. **გუნდის ლიდერი** - ორგანიზატორის მიერ დაქირავებული, კვალიფიციური პირი, რომელიც ხელმძღვანელობს კონკრეტულ ჯგუფს.

1.5. **სასტუმრო** — ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ცემი, სასტუმრო „მთის კურორტი — განთიადი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მომსახურების გამწევი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს საზაფხულო ბანაკი 2026 წლის 13 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით, წინასწარ დაგეგმილი პროგრამის მიხედვით, რომელიც ხელშეკრულებას **დანართი #1** სახით ერთვის და წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მომსახურების მიმღები იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბანაკის მონაწილის უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობა ორმხრივი გზით, თბილისი > ცემი > თბილისი.

2.3. მომსახურების მიმღები ვალდებულია მიიღოს მომსახურება და გადაიხადოს მომსახურების სრული ღირებულება, რომელიც განისაზღვრება **1390 (ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარით.**

2.4. ბანაკის მონანილე(ები) ვალდებულია (არიან) დაემორჩილოს ბანაკის წესებსა და პირობებს, დაიცვას გუნდის ლიდერისა და ორგანიზატორის მითითებები და უზრუნველყონ უსაფრთხო მონაწილეობა ბანაკის პროგრამაში.

2.5. ორგანიზატორს აქვს უფლება შეცვალოს პროგრამა ამინდის, უსაფრთხოების ან ორგანიზაციული საჭიროების გამო.

3. ანგარიშსწორება - თანხის დაბრუნება

3.1. მომსახურების მიმღები ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგი პრინციპით:

3.1.1. სრული ღირებულების 50%, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

3.1.2. დარჩენილი 50% - ბანაკის დაწყებამდე 14 დღით ადრე.

3.2. ბანაკში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში, მომსახურების მიმღები ვალდებულია მომსახურების გამწევს აცნობოს, ბანაკის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში, მომსახურების გამწევი ვალდებულია მომსახურების მიმღებს დაუბრუნოს გადახდილი ავანსის 50%-ს.

3.3. ბანაკის დაწყებამდე 14 დღეზე ნაკლებ ვადაში, მონაწილეობის გაუქმებასთან დაკავშირებით შეტყობინების შემთხვევაში, გადახდილი ავანსი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

3.4. მომსახურების მიმღების მიერ გადახდილი საავანსო თანხის დაბრუნება ექვემდებარება სასტუმროს ჯავშნის გაუქმების პოლიტიკას.

4. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

4.1. მომსახურების გამწევი უზრუნველყოფს ბანაკის განმავლობაში მონაწილისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას და შესაბამის ზედამხედველობას.

4.2. მომსახურების მიმღები ვალდებულია, ბანაკის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირით ადრე, წარმოადგინოს ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ ოფიციალური ცნობა (ფორმა 100).

4.3. მომსახურების მიმღები ვალდებულია სრულად და ზუსტად მიაწოდოს ორგანიზატორს ინფორმაცია მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის არსებული დიაგნოზები, ალერგიები და საჭიროების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღების საჭიროება.

4.4. მომსახურების მიმღები ასევე ვალდებულია წინასწარ დააფიქსიროს, ნებადართულია თუ არა მონაწილისთვის მარტივი მედიკამენტების მიღება (მაგალითად, თავის ტკივილის ან გაციების შემთხვევაში).

4.5. ორგანიზატორი მოქმედებს მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიმღები არ მიაწვდის სრულ ან ზუსტ ინფორმაციას მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორგანიზატორი თავისუფლდება შესაბამისი რისკებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობისგან, კანონით დაშვებულ ფარგლებში.

4.6. ბანაკის განმავლობაში მომსახურების მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს საკონტაქტო ნომერზე ხელმისაწვდომობა, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მასთან დროული დაკავშირება.

5. ბანაკის წესები და ქცევის სტანდარტები

ბანაკის მთავარი მიზანია ყველა მონაწილისთვის უსაფრთხო, კომფორტული და მეგობრული გარემოს შექმნა. ამის უზრუნველსაყოფად, მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი წესები:

5.1. **ბანაკის მონაწილეს ეკრძალება:**

- **5.1.1.** ბულინგი, ბილწსიტყვაობა, სიგარეტის მოწევა, ჩხუბი;
- **5.1.2.** ხმაურის გამოწვევა სასტუმროს შიდა სივრცეში და ოთახებში 21:00–09:00 საათებში;
- **5.1.3.** სასტუმროს ინვენტარის დაზიანება, გადაადგილება, მოპარვა;
- **5.1.4.** სასტუმროს სხვა სტუმრების შეწუხება;
- **5.1.5.** სასტუმროს ტერიტორიის დაბინძურება.

5.2. **წესების დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზატორი მოქმედებს ეტაპობრივი და პროპორციული მიდგომით:**

- **5.2.1.** **პირველი შემთხვევა** — მონაწილე მიიღებს სიტყვიერ გაფრთხილებას და შესაბამის განმარტებას;
- **5.2.2.** **მეორე შემთხვევა** —მოხდება მშობლის/მეურვის ინფორმირება და შესაძლოა მონაწილეობის დროებითი შეზღუდვა გარკვეულ აქტივობებში;
- **5.2.3.** **მესამე შემთხვევა** — ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს მომსახურება..

5.3. დისციპლინური მიზეზით მომსახურების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მშობელი/მეურვე ვალდებულია უზრუნველყოს მონაწილის ბანაკის ტერიტორიიდან გაყვანა საკუთარი ხარჯით. აღნიშნულ შემთხვევაში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5.4. სასტუმროს ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში, მშობელი/მეურვე ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზარალი სასტუმროს მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ინვოისის საფუძველზე. აღნიშნული წესი შეესაბამება სასტუმროს შიდა პოლიტიკას.

6. ნებართვები

6.1. მომსახურების მიმღები ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობას, რომ ბანაკის მიმდინარეობისას ორგანიზატორს უფლება აქვს გადაიღოს ბანაკის მონაწილის ფოტო და ვიდეო მასალა მხოლოდ ბანაკის აქტივობების ფარგლებში.

6.2. აღნიშნული მასალა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბანაკის პოპულარიზაციის მიზნით, მათ შორის: ორგანიზატორის სოციალურ ქსელებში; სარეკლამო და საინფორმაციო მასალებში.

6.3. ორგანიზატორი უზრუნველყოფს, რომ მასალის გამოყენება მოხდეს მონაწილის ღირსებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვით და მოქმედი პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესაბამისად.

6.4. ბანაკის პროცესის უწყვეტობისა და მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მშობლის/მეურვის ვიზიტი ბანაკის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ორგანიზატორთან წინასწარი შეთანხმებით.

6.5. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ბანაკის ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი სახის ალკოჰოლური სასმელისა და საკვების შემოტანა.

6.6. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ ორგანიზატორთან წინასწარი შეთანხმებით, განსაკუთრებული საჭიროებების (მაგალითად, სპეციალური კვებითი მოთხოვნები/ალერგიები) გათვალისწინებით.

7. მხარეთა ხელმოწერები

მომსახურების მიმღები	მომსახურების გამწევი
	ი.მ ლაშა ახვლედიანი
	_____ / ლ.ახვლედიანი

დანართი #1

სფიქაფის ინგლისურენოვანი, საზაფხულო ბანაკის პროგრამა

დღის განრიგი უცვლელია 7 დღის განმავლობაში:

- 08:00 - 09:00 დილის შეკრება, ვარჯიში, ენერჯაიზერი;
- 09:00 – 10:00 დილის საუზმე;
- 10:15 – 11:15 English Lessons / Express Yourself / A2-B2;
- 11:30 – 12:45 სასწავლო გასართობი თამაში, ინტერაქცია;
- 13:00 – 14:00 სადილი;
- 14:15 – 15:15 ტრენინგი / მასტერკლასი;
- 15:30 – 17:00 თამაში, ინტერაქცია, შეჯიბრი;
- 17:00 – 18:00. თავისუფალი საათი;
- 18:00 – 19:00 ვახშამი;
- 19:15 – 21:00 კინოჩვენება / განხილვა / დებატები;
- 21:00 – 22:00 კარაოკე, სამაგიდო თამაშები; გართობის საათი;
- 22:00 – 08:00 ძილი

© SpeakUp - Language Center

www.speakup.ge